ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

TWINNING

STATISTICS DENMARK

GEOSTAT

საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი

Contract: GE 16 ENI ST 06 18

საქართველოს სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება

კომპონენტი 2: "ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძვლების გაძლიერება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად"

მისიის ანგარიში

აქტივობა: 2.2.A "NACE კოდების გადაყვანა და ძირითადი კაპიტალის მოხმარების (CFC) გაანგარიშება "

მისიის განმახორციელებელი ექსპერტები:
სორენ ჰენრი ლარსენი, დანიის სტატისტიკა
კრისტინა იასტ ბრენდსტრაპი, დანიის სტატისტიკა

2019 წლის 5 აგვისტო - 9 აგვისტო

ვერსია: პროექტი 1.0

ექსპერტების საკონტაქტო ინფორმაცია

ბ-ნი სორენ ჰენრი ლარსენი
დანიის სტატისტიკა
კოპენჰაგენი, დანია
ტელ.: +45 3917 3483
ელ. ფოსტა: shl@dst.dk

ქ-ნი კრისტინა იასტ ბრენდსტრაპი
დანიის სტატისტიკა
კოპენჰაგენი, დანია
ტელ.: +45 3917 3633
ელ. ფოსტა: cjb@dst.dk

სარჩევი

1. ზოგადი შენიშვნები 4
2. შეფასება და შედეგები 4
3. დასკვნები და რეკომენდაციები 8
დანართი 1. ტექნიკური დავალება 12
დანართი 2. შეხვედრებში მონაწილე პირები 13

აბრევიატურები

CFC	ძირითადი კაპიტალის მოხმარება
EC	ევროპის კომისია
EU	ევროკავშირი
GFCF	მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირება
HBS	შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა
LFS	სამუშაო ძალის გამოკვლევა
MS	ევროკავშირის წევრი ქვეყანა
RTA	მუდმივი უცხოელი მრჩეველი
RTAA	მუდმივი უცხოელი მრჩეველის თანაშემწე
SBS	სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკა
SUT	რესურსებისა და გამოყენების ცხრილი
ToR	ტექნიკური დავალება

1. ზოგადი შენიშვნები

წინამდებარე მისიის ანგარიში ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „საქართველოს სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში მომზადდა. დასრულდა პროექტის მე-2 კომპონენტის მეორე მისია.

მისიის ძირითადი მიზნები:

- ივნისში განხორციელებული მისიის შემდეგ დაწყებული 45 NACE 1.1 დარგის 64 NACE 2 დარგში გადაყვანის სამუშაოების შედეგების განხილვა. წარმოებისა და შუალედური მოხმარების ძველი მაჩვენებლების ახალ მაჩვენებლებზე გადაყვანის შეფასება დარგების მიხედვით.
- ხარჯების მხარეს სახელმწიფო მართვის ორგანოების გამოშვების გაანგარიშების ფორმის შევსებისთვის საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კერძოდ, ძველ მონაცემებს აკლდა ძირითადი კაპიტალის მოხმარების გაანგარიშება.
- რესურსებისა და გამოყენების ცხრილების ახალი Excel-ის ჩარჩოს გაცნობა. ვერსიის პრეზენტაცია, რომელშიც უზრუნველყოფილია პროდუქციის დეტალური კლასიფიკაცია, დარგები NACE rev.2-ის მიხედვით, შინამეურნეობათა საბოლოო მოხმარება COICOP-ის მიხედვით, სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარება COFOG ჯგუფების მიხედვით და კაპიტალის ფორმირება ტიპების მიხედვით.
- თავდაპირველად დაგეგმილი იყო სამუშაო შეხვედრის ორგანიზება რესურსებისა და გამოყენების ცხრილებზე მომუშავე თანამშრომლებისთვის Excel-VBA-ზე დაფუძნებული IT პროგრამის გამოყენების თემაზე. არსებული რესურსებისა და გამოყენების ცხრილების გარკვეულ ნაწილში სრულყოფილი გადახედვის აუცილებლობიდან გამომდინარე საჭირო გახდა, რესურსებისა და გამოყენების ცხრილების ახალი ჩარჩოს დემონსტრაციისთვის განკუთვნილი დრო შეგვემცირებინა.

კონსულტანტები მადლიერებას გამოხატავენ შეხვედრაში მონაწილე ყველა თანამდებობის პირისა და თანამშრომლის მიმართ საქართველოში განხორციელებული მისიის პერიოდში უზრუნველყოფილი მხარდაჭერისა და ინფორმაციისთვის, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კონსულტანტების წარმატებულ მუშაობას.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია კონსულტანტების მოსაზრებები და დასკვნები, რომლებიც არ გულისხმობს ევროკავშირის, საქსტატის, დანიის სტატისტიკის ან პროექტის განხორციელებაში ჩართული სხვა სტატისტიკური სამსახურების შეხედულებებს.

2. შეფასება და შედეგები

საქსტატის გეგმა 2019 წლის ნოემბერში ეროვნული ანგარიშების ახალი მაჩვენებლების ESA 2010-ისა და NACE rev2-ის შესაბამისად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით საქართველოს რესურსებისა და გამოყენების ცხრილების ხელახალ კლასიფიკაციას და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმების შესაბამისად რესურსებისა და გამოყენების ცხრილების გარკვეული ნაწილის მნიშვნელოვან გადახედვას გულისხმობს. მოცემული მისიის პერიოდში საქსტატის თანამშრომლები აქტიურად მუშაობდნენ ნოემბერში გამოსაქვეყნებელი მწკრივებისთვის მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით. ეროვნული ანგარიშების მწკრივების ნოემბრის ვერსიის მომზადების მიმართულებით მხარდაჭერას პროექტის მე-2

კომპონენტის 2.1 ქვეკომპონენტი დაეთმო. თუმცა, საკმაოდ რთული აღმოჩნდა 2.1 და 2.2 ქვეკომპონენტების საკითხების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

მოცემულმა მისიამ ცხადყო ნოემბრის ვერსიაში და მომავალში - უფრო რთულ - სისტემაში გამოსაყენებელი გადაწყვეტილებების უპირატესობა. თუმცა, ნოემბერში გამოქვეყნების ვადა ზოგიერთი გაანგარიშების მარტივი მეთოდით განხორციელებას მოითხოვს, რასაც მოგვიანებით 2.2 ქვეკომპონენტის ფარგლებში შედგენილი რესურსებისა და გამოყენების ცხრილების ახალი სისტემა ჩაანაცვლებს.

სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკა: არსებული ეროვნული ანგარიშების 45 დარგის NACE rev.2-ის 64 დონეზე გადაყვანა 2015-2017 წლების ორმაგი კოდების სტატისტიკის საფუძველზე ხორციელდება. ივლისის შუა რიცხვებში საქსტატის თანამშრომლებმა 2007 – 2017 წლების დეტალური სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკის საფუძველზე დარგების ახალი ჯამური მაჩვენებლები გამოიყვანეს გამოშვებისთვის, დანახარჯებისა და ხელფასებისთვის. შემუშავდა მარაგების ცვლილებების გაანგარიშების ახალი სისტემა. დაზუსტება განხორციელდა 2016 და 2017 წლების ჰოლდინგური მოგებისა და ზარალის ნაწილში, თუმცა აღნიშნული კორექტირება წინა წლებს არ შეხებია.

ანგარიშთა სტატისტიკა ეყრდნობა შერჩევას, რომელიც სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკის რეესტრში შემავალ ყველა ერთეულს აერთიანებს. სტრუქტურულ ბიზნეს სტატისტიკაში არ შედის მცირე საწარმოებისა და დაურეგისტრირებელი ერთეულების მაჩვენებლებში. აღნიშნული ერთეულები „დაუკვირვებლად“ ითვლება ძველი სისტემის მიხედვით. თითოეული საქმიანობის დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობის შეფასება ეყრდნობა კოეფიციენტებს, რომლებიც თავიდან გამოთვლილი იყო დასაქმების მთლიანი მაჩვენებლის შედარების გზით სამუშაო ძალის გამოკვლევასა (LFS) და სტრუქტურულ ბიზნეს სტატისტიკაში (SBS) გაერთიანებული ერთეულების დასაქმებაზე დაყრდნობით.

ამასთან, არსებული სისტემით გათვალისწინებული მეთოდის ხელახლა გამოყენებამ სათანადო შედეგი ვერ გამოიღო. სამუშაო ძალის გამოკვლევისა (LFS) და სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკის (SBS) დასაქმების მაჩვენებლების ახალმა შედარებამ აჩვენა, რომ უმეტეს წლებში სამუშაო ძალის გამოკვლევის დასაქმების მაჩვენებელი სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკის დასაქმების მაჩვენებლებზე დაბალია რამდენიმე დარგში. როგორც ჩანს, აღნიშნული სამუშაო ძალის გამოკვლევის (LFS) (ან სტრუქტურულ ბიზნეს სტატისტიკის (SBS)) შედეგების გენერალურ ერთობლიობაზე განზოგადების პრობლემით არის გამოწვეული. მიღებული იქნა გადაწყვეტილება შედეგების განზოგადების მეთოდების შესწავლის გადაუდებელ აუცილებლობასთან დაკავშირებით. მომდევნო 2-3 კვირის ვადაში უნდა გადაწყდეს დაუკვირვებადი ეკონომიკის შევსების საკითხი, რათა მოესწროს ახალი მაჩვენებლების ვადაში გაანგარიშება.

მომზადდა 2017 წლის დეტალური პროდუქციის კოდებზე განაწილებული სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკის დარგების გამოშვების ფაილი CPA-ისა და NACE ver.2-ის შესაბამისად. იმავე პროგრამის გამოყენებით შეიძლება მომზადდეს ანალოგიური ფაილები 2015 წლიდანაც. შესაძლებელია შედეგების აგრეგირება პროდუქციის კლასიფიკაციისთვის, რის საშუალებასაც რესურსებისა და გამოყენების ცხრილების ახალი ჩარჩო იძლევა. ნოემბრის ვერსიასთან დაკავშირებით მიღებული იქნა CPA-ზე დაფუძნებული ახალი 2-ნიშნა პროდუქციის ნომენკლატურის გამოყენების გადაწყვეტილება. თუმცა, მას შეიძლება დაემატოს შმაკოს და სახელმწიფო მართვის ორგანოების გამოშვების რამდენიმე ახალი პროდუქტის კოდი და

კონკრეტული ახალი პროდუქტები, როგორიცაა ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება (FISIM) და კვლევა და დამუშავება (R&D).

ბუღალტრული აღრიცხვა გარკვეულწილად განსხვავდება ეროვნული ანგარიშების კონცეფციებისგან. მნიშვნელოვანი განსხვავებებია მოსალოდნელი სადაზღვევო, ფინანსური შუამავლობის, კვლევებისა და განვითარების სფეროების დამუშავების თვალსაზრისითაც. სექტემბერში დაგეგმილია 2.1.B მისია, რომელიც სპეციალურად ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების (FISIM), კვლევისა და დამუშავების (R&D) და საცხოვრისის რენტის საკითხებს დაეთმობა. დარგების მიხედვით მთლიანი დანახარჯების შეფასებითი მაჩვენებლების დასრულებამდე საჭირო იქნება მოხმარების მიხედვით (დანახარჯები, შინამეურნეობის საბოლოო მოხმარება) დაზღვევის განაწილების სისტემაც.

სავაჭრო ფასნამატი: პროდუქციის ახალი კლასიფიკაციაზე გადასვლა საბითუმო და საცალო სავაჭრო ფასნამატების ახალი პროდუქტების ჯგუფებზე განაწილებას მოითხოვს. დასაწყისისთვის ახალი განაწილება ვაჭრობის დეტალურ დონეზე ჩაშლილი სხვადასხვა სფეროს სავაჭრო ფასნამატის გამოშვებებს შეიძლება დაეყრდნოს. მისიის განმავლობაში მომზადდა ფაილი, სადაც NACE-ის 4-ნიშნა ვაჭრობის სფეროს თითოეული გამოშვება CPA-ს ერთ ან მეტ პროდუქტზეა განაწილებული. რა თქმა უნდა, აუცილებელია შედეგად მიღებული ფასნამატის წილების კრიტიკული შეფასება. ანალიზის შედეგად შესაძლებელია ფასნამატების შეფასებითი განაწილების გარკვეულწილად დაზუსტებაც.

იმპორტისა და საბაჟო გადასახდელები: რესურსებისა და გამოყენების არსებულ ცხრილებში საქონლის იმპორტის სვეტი FOB ღირებულებებით არის წარმოდგენილი. შესაძლოა, საბაჟო ორგანოებისგან მიღებული თავდაპირველი მონაცემები ფაქტობრივად მოცემული იყო CIF ღირებულებით და სხვაობები შეიძლება გამოწვეული იყოს ტრანსპორტირებისა და სადაზღვევო ხარჯების პროდუქტების მიხედვით განაწილებით. ასეთ ვითარებაში, სავსებით შესაძლებელი უნდა იყოს თავდაპირველი CIF ღირებულების მიღება (ან სხვაობის CIF და FOB ღირებულებებს შორის განაწილება) საგარეო ვაჭრობის სტატისტიკიდან. ჩვეულებრივ, საქონლის იმპორტი რესურსებისა და გამოყენების ცხრილებში წარმოდგენილია CIF ღირებულებით. FOB ღირებულების დატოვების გადაწყვეტის შემთხვევაში CIF და FOB ღირებულებებს შორის სხვაობები იმპორტირებული საქონლის ფასნამატის სახით უნდა განაწილდეს, რათა შიდა რესურსებისა და გამოყენების ღირებულებები სწორად განისაზღვროს.

გადასახადები და სუბსიდიები პროდუქტებზე, დღგ-ის გარდა: ფინანსთა სამინისტროდან არის მიღებული გადასახადები პროდუქტებზე. კანონმდებლობის საფუძველზე ხდება თითოეული გადასახადის კონკრეტულ პროდუქტზე მინიჭება. რეკომენდაციის თანახმად, იგივე მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული აღნიშნული გადასახადების პროდუქტების ახალი კლასიფიკაციის მიხედვით განაწილებლად. ძველ სისტემაში სუბსიდიების შესახებ ინფორმაციაც იგივე ფორმით იყო ხელმისაწვდომი. თუმცა, აღნიშნული მაჩვენებლები მხოლოდ მთლიანი სუბსიდიის პროპორციული განაწილებისთვის გამოიყენებოდა, რაც წინა წლის სუბსიდიების ექსტრაპოლაციას ეფუძნებოდა. ახალი რეკომენდაციის თანახმად, სუბსიდიების ფინანსთა სამინისტროდან მიღებული მაჩვენებლების გამოყენება დამატებითი დაზუსტებების გარეშე უნდა მოხდეს.

დაუქვითავადი დღგ: რესურსებისა და გამოყენების ძველ ცხრილებში დღგ-დან მიღებული შემოსავალი ნაწილდებოდა პროდუქტებზე დღგ-ით დასაბეგრი პროდუქტების რესურსების

პროპორციულად. მისიის პერიოდში, მარტივმა მაგალითმა ცხადყო, რომ გამოყენების ცხრილის პირველადი ვერსიის მომზადება განაწილების შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. დღგ-დან მიღებული შემოსავალი არის დანახარჯებზე დაუქვითვადი დღგ-ის, მოხმარებისა და ინვესტიციის ჯამი. გამოყენების მხარეს თითოეულ გრაფაში დაუქვითვადი დღგ-ის მაჩვენებელი კონკრეტული პროდუქტის დღგ-ის საშუალო განაკვეთზე და აღნიშნული პროდუქტის შემსყიდველი დარგის (შემავალი დღგ-ის სახით) დაუქვითვადი დღგ-ის წილზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივ, შინამეურნეობებს არ შეუძლია შემავალი დღგ-ის დაქვითვა. ჩვეულებრივ, დღგ-ის მარეგულირებელ კანონმდებლობაში გათვალისწინებულია გარკვეული გამონაკლისები ზოგადი წესებიდან. შესაბამისად, დღგ-ის განაწილება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ სად ხდება თითოეული კონკრეტული პროდუქტის გამოყენება. პირველადი გამოყენების ცხრილზე დაფუძნებული მოდელით მიღებული შედეგები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად იქნება განსხვავებული ძველი მეთოდით მიღებული შედეგებისგან.

შინამეურნეობის საბოლოო მოხმარება: შინამეურნეობების ხარჯებისა და შემოსავლების გამოკვლევა (HBS) COICOP-ის დეტალური კლასიფიკაციის მიხედვით განაწილებულ შინამეურნეობის საბოლოო მოხმარებას მოიცავს. მოხმარების მაჩვენებლების აგრეგირება რესურსებისა და გამოყენების ცხრილების ჩარჩოთი გათვალისწინებული პროდუქტების ნებისმიერი კალსიფიკაციით არის შესაძლებელი. რამდენადაც შინამეურეობის საბოლოო მოხმარება არსებული გამოყენების ცხრილის ერთ სვეტად არის წარმოდგენილი, რეკომენდაციით თანახმად, მომავალ ჩარჩოში იგი რამდენიმე სვეტში უნდა განაწილდეს, მაგალითად, COICOP-ის 3-ნიშნა კოდებით.

ეროვნულ ანგარიშებში გამოყენების მიზნებისთვის შინამეურნეობათა ხარჯებისა და შემოსავლების გამოკვლევიდან მიღებული მაჩვენებლები განზოგადებას მოითხოვს, რათა უზრუნველყოს მთლიანი გენერალურ ერთობლიობის მოცვა. თუმცა, მნიშვნელოვანი საეჭვო განსხვავებებია არსებულ ეროვნულ ანგარიშებში წარმოდგენილ მოხმარებასა და შინამეურნეობების ხარჯებისა და შემოსავლების გამოკვლევიდან მიღებულ მაჩვენებლებს შორის. რესურსებისა და გამოყენების ხელახალი დაბალანსების გზით შინამეურნეობების მოხმარების გადახედვის შემთხვევაშიც წარმოუდგენელია მისი მაჩვენებელი შინამეურნეობების ხარჯებისა და შემოსავლების გამოკვლევიდან მიღებულ დაბალ მაჩვენებელს გაუტოლდეს.

შინამეურნეობების ხარჯებისა და შემოსავლების გამოკვლევის მაჩვენებლების განზოგადების მეთოდები დეტალურ შესწავლას მოითხოვს. საინტერესოა, აქვს თუ არა შინამეურნეობების ხარჯებისა და შემოსავლების გამოკვლევის დეპარტამენტს რაიმე ინფორმაცია COICOP-ის კონკრეტულ ჯგუფებში უზუსტობებთან/დაბალ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო მართვის ორგანოები: მაისში განხორციელებული მისიის ფარგლებში შემუშავდა სახელმწიფო მართვის ორგანოების წარმოების მაჩვენებლისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების გაანგარიშების ფორმა. ცენტრალური ხელისუფლების შესახებ ინფორმაცია სანდოდ გამოიყურება, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების, კერძოდ, არასაბიუჯეტო ერთეულების მონაცემები შედარებით არასრულია. ივნისში განხორციელებული მისიის პერიოდში ხაზი გაესვა გარკვეული ინფორმაციის სასწრაფო ხელმისაწვდომობის აუცილებლობას, რათა ნოემბრის ვადაში ჩავეტიოთ!

ძირითადი კაპიტალის მოხმარების გაანგარიშების სისტემას დანიელი ექსპერტები უზრუნველყოფენ, თუმცა საჭირო იქნება ინფორმაცია ინვესტიციების შესახებ, მინიმუმ, ბოლო

რამდენიმე წლისთვის - უმჯობესია ტიპებისა და COFOG ჯგუფების მიხედვით. გვჭირდება გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებისა და საკუთარ ანგარიშზე ინვესტირების მაჩვენებლები, რამდენადაც აღნიშნულ მაჩვენებლები სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარებისთვის მომსახურების წარმოებაში არ უნდა შედიოდეს.
გვჭირდება „ნატურალური ფორმით გაცემული სოციალური დაზღვევის ანარიცხების“ შეფასებითი მაჩვენებლები, რომელიც არ იქნება სახელმწიფო მართვის ორგანოების წარმოება, მაგალითად, საბაზრო მწარმოებლისგან შესყიდული და საზოგადოებისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მომსახურება.

სავარაუდოდ, ფინანსთა სამინისტრო შეძლებს საჭირო მონაცემების ძირითადი ნაწილის მოწოდებას. სტატისტიკაში ზოგიერთი ინფორმაციის არასრულად მოცვის შემთხვევაში, აუცილებელია გამოტოვებული მაჩვენებლების რაიმე მეთოდით შეფასება. ხაზი გაესვა, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო მართვის ორგანოების წარმოების, შუალედური მოხმარების, ასევე სახელმწიფო მართვის ორგანოების არასაბაზრო მომსახურების საბოლოო მოხმარების მაჩვენებლების მომდევნო რამდენიმე კვირის ვადაში ხელმისაწვდომობას.

საქართველოს რესურსებისა და გამოყენების ახალი სისტემის ჩარჩო და მახასიათებლები: ივნისში განხორციელებული მისიის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა დანიის აგრეგირებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით მომზადებული რესურსებისა და გამოყენების ცხრილების ახალი, სრულყოფილი Excel ჩარჩოს მაგალითი. მოცემული მისიის განმავლობაში ჩარჩოში განხორციელდა საქართველოს რესურსებისა და გამოყენების ცხრილების შემოთავაზებული დაზუსტებები, რომელშიც მოცემულია 64 დარგი, შინამეურნეობის მოხმარების სვეტები COICOP-ის 3-ნიშნა ჯგუფების მიხედვით, შმაკოსა და სახელმწიფო მართვის ორგანოების ინდივიდუალური მოხმარების სვეტები, მთლიანი მოხმარების 10 სვეტი GOFOG-ის ჯგუფების მიხედვით, GFCF-ის 10 ტიპის და მარაგების 6 ტიპის ცვლილების სვეტები და ძვირფასი ნივთების სვეტი. საბოლოო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი და რამდენი სვეტი უნდა დარჩეს საქართველოს რესურსებისა და გამოყენების ცხრილებში, პირველადი დეტალური მონაცემების ხელმისაწვდომობასა და აღნიშნული მონაცემების ხარისხზეა დამოკიდებული.

წარმოდგენილი იქნა მაგალითი, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ახალი, უფრო დეტალური პროდუქტები, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ როგორ დაიყოს ზოგიერთი ახალი 2-ნიშნა პროდუქტების ჯგუფები უფრო დეტალურ პროდუქტებად, მიმდინარე ფასებში მომზადებული 2017 წლის რესურსებისა და გამოყენების ცხრილების ნოემბრის ვერსიის დასრულებამდე ვერ მოხერხდება.

მისიის დასასრულს შედეგები, რეკომენდაციები და დასკვნები წარედგინა საქსტატის პროექტის ხელმძღვანელს, საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს, ბ-ნ გოგიტა თოდრაძეს.

3. დასკვნები და რეკომენდაციები

- 2019 წლის ნოემბრისთვის SNA2008 / NACE rev.2-ზე დაფუძნებული ეროვნული ანგარიშების ახალი მაჩვენებლების გამოქვეყნების მიზნის შესრულების მიმართულებით დანიელმა ექსპერტებმა და საქსტატის თანამშრომლებმა მოამზადეს პრობლემური საკითხების გადაჭრის გეგმები ივნისში განხორციელებული მისიის ფარგლებში.

- გეგმის მიხედვით, ივლისში დანიელმა ექსპერტებმა მიიღეს მონაცემები დარგების ბრუნვისა და შუალედურ მოხმარებისთვის შესყიდვების შესახებ სტრუქტურულ ბიზნეს სტატისტიკაზე დაყრდნობით 2007 – 2017 წლებისთვის.
- 2016 წლის შემდგომი წლებისთვის მარაგების ცვლილებები გაიწმინდა ჰოლდინგური მოგებისა და ზარალის მიმართულებით. 2016 წლის წინა წლებისთვის მხოლოდ ცვლილებებია ხელმისაწვდომი - ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული წლებისთვის უნდა შემუშავდეს ფასების ცვლილებების დაზუსტების მარტივი მეთოდი.
- სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკით მოცულ დარგებში, დაუკვირვებადი ეკონომიკა მოიცავს მცირე საწარმოებს და სხვა ერთეულებს, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკის რეესტრში. პრინციპში, აღნიშნულ ერთეულებში დასაქმების შეფასება უნდა განხორციელდეს, როგორც სხვაობა მთლიან დასაქმებასა (სამუშაო ძალის გამოკვლევა) და სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკით დარგების დასაქმებას შორის. რეალურად აღნიშნულმა შედარებამ ბევრი არასანდო შედეგი აჩვენა, ხშირად უარყოფითი სხვაობებით, შესაბამისად დასაქმების, წარმოებისა და დაუკვირვებადი ერთეულების დანახარჯების შესახებ ახალი მაჩვენებლები ჯერ მზად არ არის.
- ჯერ ისევ არ არის მიღებული ძირითადი კაპიტალის მოხმარების გაანგარიშებისთვის საჭირო ინვესტიციების მაჩვენებლები ფინანსთა სამინისტროდან. სასწრაფოდ უნდა დაიწყოს აღნიშნული გაანგარიშები და მომზადდეს ხარჯების სხვა კომპონენტების, გაყიდვებიდან შემოსვლებისა და ნატურალური ფორმით გაცემული სოციალური დაზღვევის ანარიცხების მაჩვენებლები.
- სექტემბერში დაგეგმილი მისია უნდა დაეთმოს ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების (FISIM) მწკრივებს, საკუთარი საცხოვრისის პირობით რენტას და წარმოებასა და ინვესტიციას კვლევასა და დამუშავებაში, თუმცა აღნიშნული მისიის განხორციელების თარიღები ჯერ უცნობია. შეუძლებელია წლიური მაჩვენებლების მწკრივების მიმდინარე და მუდმივ ფასებში მთლიანად დასრულება სექტემბრის ბოლომდე, თუ აღნიშნული მწკრივები ხელმისაწვდომი არ იქნება სექტემბრის შუა რიცხვებამდე. თუმცა, შესაძლებელი იქნება სხვა მწკრივების დასრულება და რესურსებისა და გამოყენების ნაწილობრივი დაბალანსება.
- ქვემოთ წარმოდგენილი გეგმა შესაბამისი ქმედებებითა და ვადებით წარმოადგენს მოთხოვნების მონახაზს იმისათვის, რომ წლიური მაჩვენებლები სექტემბრის თვეში ან, უფრო რეალურად, ოქტომბრის დასაწყისში დასრულდეს. სხვადასხვა კომპონენტის დასრულების თანმიმდევრობა საბოლოოდ თითოეული მონაცემთა წყაროს ხელმისაწვდომობაზე იქნება დამოკიდებული.

გაუმჯობესების მიმართულებით, ასევე მომდევნო მისიის მოსამზადებლად განსახორციელებელი ნაბიჯები:

მოქმედება	ვადა	პასუხისმგებელი პირი
ფინანსთა სამინისტროს დახმარებით: a) ბოლო წლების სამთავრობო ინვესტიციების მაჩვენებლებზე წვდომა რაც შეიძლება მეტი	28 აგვისტო	საქსტატი / დანიის სტატისტიკის სამსახური

წლის მდგომარეობით სხვადასხვა ტიპის ინვესტიციების მიხედვით. აღნიშნული მასალის დანიელი ექსპერტებისთვის გაზიარება ძირითადი კაპიტალის მოხმარების გასაანგარიშებლად. b) სხვადახვა ტიპის დანახარჯების მაჩვენებლების გაანგარიშების დასრულება სამთავრობო განშტოებებში COFOG კლასიფიკაციის მიხედვით.	2 სექტემბერი	
საჯარო სკოლების შესახებ საჭირო მონაცემების მიღება განათლების სამინისტროდან.	2 სექტემბერი	საქსტატი
სამუშაო ძალის გამოკვლევის შედეგების გენერალურ ერთობლიობაზე განზოგადების მეთოდის შესწავლა. უნდა განისაზღვროს, არის თუ არა გენერალური ერთობლიობის მაჩვენებლები რეალურზე დაბალი.	6 სექტემბერი	საქსტატი (შესაბამისი რეკომენდაციები?)
გადაწყვეტილების მიღება დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობის შეფასების კოეფიციენტების შესახებ.	10 სექტემბერი	საქსტატი / სორენ ლარსენი
შინამეურნეობების ბიუჯეტის გამოკვლევის შედეგების გენერალურ ერთობლიობაზე განზოგადების მეთოდების შესწავლა. ძირითადად სისტემური ხარვეზების შემოწმება. შინამეურნეობების მოხმარების ალტერნატიული წყაროების მოძიება COICOP-ის კონკრეტულ ჯგუფებში.	10 სექტემბერი	საქსტატი (შესაბამისი რეკომენდაციები?)
ნებისმიერი მეთოდით შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების პირველადი განაწილება პროდუქტების მიხედვით.	12 სექტემბერი	საქსტატი (შესაბამისი რეკომენდაციები?)
სადაზღვევო სერვისების წარმოების შუალედურ მოხმარებასა და	12 სექტემბერი	საქსტატი

შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯებზე განაწილების სისტემის შემუშავება		
განაწილება ვაჭრობის პროდუქტებისა და სატრანსპორტო ფასნამატების მიხედვით	12 სექტემბერი	საქსტატი
განაწილება პროდუქტებზე გადასახადებისა და სუბსიდიების მიხედვით	12 სექტემბერი	საქსტატი
სისტემაში კონკრეტული პროდუქტების (მწკრივების) დამატება: დაზღვევა, ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება (FISIM), კვლევა და დამუშავება, საცხოვრისი, შმაკოს გამოშვება და სახელმწიფო მართვის ორგანოების გამოშვება, ინვესტიცია სამხედრო აღჭურვილობაში	13 სექტემბერი	საქსტატი
დაუქვითავადი დღგ-ის პროდუქტების მიხედვით განაწილების სისტემა	16 სექტემბერი	საქსტატი
პირველი წლის წლიური მონაცემების არსებული ფასების მიხედვით დაბალანსების დაწყება	16 სექტემბერი	საქსტატი
პირველი წლის წლიური მონაცემების დაბალანსების დაწყება წინა წლის ფასებში	20 სექტემბერი	საქსტატი

დანართი 1. ტექნიკური დავალება

ტექნიკური დავალება

ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი GE 16 ENI ST 06 18

2019 წლის 5-9 აგვისტო

კომპონენტი 2: ეროვნულ ანგარიშებში მეთოდოლოგიური საფუძვლების გაძლიერება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად

ქვეკომპონენტი 2.1: ეროვნული ანგარიშების შედგენის მეთოდები და ახალი პროდუქტები

სავალდებულო შედეგები და 2.1 ქვეკომპონენტის მთავარი ამოცანები:

- ეროვნული ანგარიშების შედგენის მეთოდების გაუმჯობესება და ახალი პროდუქტების დამატება

შესრულების მაჩვენებლები:

- SNA 2008-ის შესაბამისად გადახედვის რეკომენდაციები და მშპ-ის კომპონენტების შეფასების მეთოდები
- მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის მომზადება შერჩეულ საკითხებზე

<u>აქტივობა 2.2.A:</u>

1. აქტივობის მიზანი

- არსებული სიტუაციის ხელახალი გადახედვა და შეფასება
- ზოგადი განხილვები SNA2008-ზე გადასვლასთან დაკავშირებით.
- დამატებითი განხილვები NACE, rev.1-დან NACE, rev.2-ზე გადასვლასთან დაკავშირებით
- გარდამავალი პერიოდის პრობლემატური საკითხების იდენტიფიცირება, პრიორიტეტებად დაყოფა და დამუშავება. აღნიშნული სამუშაო კოორდინირებული იქნება საქსტატის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან.

2. აქტივობის მოსალოდნელი შედეგები

- რესურსებისა და გამოყენების ცხრილების ჩარჩოს ახალ ფორმატში მომზადება NACE 2-ზე დაყრდნობით.
- დაუკვირვებადი ეკონომიკის კოეფიციენტების შეფასების მეთოდების შემუშავება.
- საბაზრო და არასაბაზრო გამოშვების შეფასების მეთოდების შემუშავების დასრულება გარკვეული დარგებისთვის.
- განხილვები სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკის, როგორც რესურსებისა და გამოყენების ახალი ცხრილების მომზადებისა და SNA2008-ზე გადასვლის საფუძვლის, როლის შესახებ და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება
- სახელმწიფო მართვის ორგანოების ინდივიდუალური და მთლიანი დანახარჯების შეფასებითი გაანგარიშება.
- NACE, rev.1-დან NACE, rev.2-ზე გადასვლის საკითხის განხილვა.

- გამოშვებისა და შუალედური მოხმარების დეფლირებისთვის საჭირო ფასების ინდექსების გაანგარიშების მეთოდების დასრულება;
- მომდევნო მისიის დაწყებამდე შესასრულებელი სამუშაოს განსაზღვრა მისიის პერიოდში განხილვის მიზნით.
- მხარდაჭერა მომდევნო აქტივობის ტექნიკური დავალების მომზადების მიმართულებით.
- მისიის ანგარიშის მომზადება

დანართი 2. შეხვედრებში მონაწილე პირები

საქსტატი

ბ-ნი ლევან ქარსაულიძე, ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის უფროსი
ქ-ნი მაკა კალანდარიშვილი, ეროვნული ანგარიშების სამმართველოს უფროსი
ქ-ნი თინათინ პაპიაშვილი, კვარტალური ანგარიშების სამმართველოს უფროსი
ბ-ნი ირაკლი ქართველიშვილი, კვარტალური ანგარიშების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

წევრი ქვეყნის ექსპერტები

ბ-ნი სორენ ჰენრი ლარსენი, უფროსი კონსულტანტი, დანიის სტატისტიკა
ქ-ნი კრისტინა იასტ ბრენდსტრაპი, განყოფილების უფროსი, დანიის სტატისტიკა